

რედაქცია: სოლოლაკზე, შალის ქუჩაზე, მელიქი შეილის სახლში, № 43.  
კანტორა რედაქციისა: მელიქი შეილის სტამბაში, შანოვის ქუჩაზე.  
ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. შარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дროზდა“.  
გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთი თვისა—1 მან.

უკველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვებზე.  
ფასი განცხადებისა: დღისათვის ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდებელთა გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

შემდეგ ორმოცი დღის ვარდაცვალებისა კამანდირის პიტაგორსკის პენიტენს პოლკისა, პალკოვნიკის მიხაილ ბაშანის ძის გუშაქიშვისა, მოკლულის ხუთიდან მეექვსე რიცხვსა წარსულ წოდებრისასა, იერიშით მისვლით ქარსის ციხის აღებაზედ, — ქვირივი მისი ეკატერინე ბორისიენა და მძანი ვარდაცვალებულისა ი სთხოვენ ნათესავთა, მკნობთა და თანა-მოსამსახურეთა, რათა პატივი სცენ და მობრძანდნენ წირვაზედ და პანაშვიდზედ შ ა ბ ა თ ს; ჩვიდმეტს დეკემბერს ამა წელსა, ათს საათზედ დილით, ანჩისხატის სობორში.

ომავალ 1878 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავან პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდე გამოდით სოლგე.

ამ უკანასკნელი ნახევარი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ყოველ-დღიური გაზეთი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ ომავალ წელსაც „დროება“ გუდამ დღე გამოვა, გარდა ორშაბათისა და უქმეების შემდეგ დღეებისა.

ხელის-მოწერა

თფილისში — მიიღება „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქი-შეილის სტამბაში (შანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).  
შარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ редакціи „Дროзდა“.

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
მქვის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება ომავალის წლიდამ გაზეთის დაბარება. შმორჩილესი თხოვნა ხელის-მოწველებსა და აგენტებს: სვედრი უფლი გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იმჩინოს გამოგზავნილი; თუ არ ფაგის აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

## ფელტონი

ლახურის ხომიღბან

(დასასრული)

ბატონებს და გლეხებს მორიგების დამაბრალებელი მიზეზნი ერთი მხრით მიროვოი პოსრენიკების დაუცვრობა გახლავთ, მეორეს მხრით ზოგიერთა მებატონეები, რომლებს გვლენის ქვეშაც არიან პოსრენიკები და რომელთაც არ უნდათ ღროზე მორიგდნენ. არ უნდათ იმიტომ რომ ულონო გლეხები დაიბრიყვონ, მოულონ რაღაც ტყუილი შარები, როგორც იმ ერთ ქვირის დედაკაცს უშვრება ის უფალი, ვისიც მცველათ თქვენ ხამოხეულით, და კანონით დადებული

მარჯის მაგიერ, ნახევარ მამულის შეგოსავალს წართმევს.  
თქვენ შეგიტყვიათ, უფ. ა. ამილახვარო, რომ მე აქ თქვენს ხეობაში სავაჭროთ ვარ მოსული. მე ქართალია, მაგრამ იმაში კი ძალიან სცდებით, ბატონო, ვითომც ვვაჭრობდე გლეხებისაგან ნახევარ ფასად. მე ვვაჭრობ ჩემი საკუთარი პიროვანი საჭიროებისათვის და ამისა გამო ვგონებ, რომ აქ საძრახისი და უპატიოსნო არა იყოს-რა. მთე მორთხოვთ, ფაქტიურათაც დაგიმტკიცებთ იმ ვარემოებას, რომ მე ისეთი ვაჭარი არ ვაბლავებო როგორც ვაჭრობასაც თქვენ მწამებთ.  
მაგრამ თვით საძაგლო ვაჭრების შმომიღებაც კი ნათელია თქვენს კლენ-

## ტელეგრაფები

ბაქოლის ველიდამ

ბოგოტი, 13 დეკემბერს. შემკვიდრის კორპუსიდან ნისოვისა და სალენიკისაკენ გაგზავნილ ატრიადებს ჰქონდათ შეტაკება მტერთან. ამ ადგილებში ცოტალა დარჩენილა მტრის ჯარი.

ბატინის ხილთან ყინული მოდის. ბრაილოვთან მდ. ღუნაიზე ისე უეცრად დაძლიერად მოაწვა ყინული, რომ მოგლიჯა ხილი და 21 პორომი წაიღო; ჩვენი გემი გაეხირა შუაგულ ღუნაიში და სანამ ყინული არ შესწყდა, მანამ ხილს ვერ მიუახლოვეს. დ. მ. პლეკსი პლექსანდრეს ძე იწერება, რომ ამ ქამად ბრაილოვთან ღუნაიზე გადასვლ-გადმოსვლა არ შეიძლება.

11 დეკემბერს მოწმენდილი დღე იყო და ამ დროს ოსმალოებმა წმ. ნიკოლასის ფორტს დაუშინეს ყუმბარები. მაგრამ ჩვენთვის ბევრი ზრაფერი ზარალი მოუციათ. ღლეს კი შიპკოზე ისევე ბურუსია და საშინელი ყინვა.

სერბიელები გარს-შემოერთყენენ ნიშს; ოსმალოს ჯარი დაეცა ამათ ჩრდილოეთით, მაგრამ უკუ-აქციეს. ოსმალოებმა 70 კაცი დასტოვეს ბრძოლის ველზე.

ტის მოქმედებასთან. ის ვაჭრები, თუმცა ატყუებენ გლეხებს, მაგრამ რამოდენსამე ფასს მაინც აძლევენ და თქვენი კლიენტები კი, თუ გლეხმა ნებაყოფლობით არ მისცა, წაიგდებს წიხლ ქვეშ, კარგა გასთელავს და მერე რაც უნდა იმასაც წართმევს უფსოთ. რადგანაც გამომიწვიეთ, ამიტომ სხვა მრავალ მაგალითებ შორის მოვიყვან ამ ნათქვამი აზრის დასამტკიცებლად რამდენსამე მაგალითს თქვენის კლიენტის მოქმედებიდან! და თუ ძალიან შეგაფუცხუნათ უკაცრავოთ:  
ბ). თქვენს კლიენტსა ჰყავდა ერთი მოსამსახურე თუ სახლში რაღაც თანამდებობის ადმინისტრატორი იყო, რომელიც იყო მის მიმართ

# ოპის აზრები

## აზრის ბრძოლის ველიდან

„მოსკოვის უწყებების“ ალექსანდრა-პოლკელი კორრესპონდენტი იწერება, რომ ალექსანდრაპოლის საავთმყოფოებში და ლაზარეთებში ამ ქაშად 5,000 დაჭრილი და ავთმყოფი მეომარი წევსო. კორრესპონდენტი აქებს ავთმყოფების მოვლას და ყურის-გდებას; მაგრამ უბედურება ის არისო, რომ ამ ქალაქში ლაზარეთისათვის მოთავსებული სახლები არ იმოგებაო, თითო სახლში, რომელშიაც 20—30-ზე მეტი ავთმყოფი არ უნდა, იყოს ასზე მეტი წევს, ცუდი ჰაერი აქვთ ავთმყოფებს და ამის გამო გვიან რჩებიანო.

ამავე კორრესპონდენტის სიტყვით, მთელი ძავესიის არმიის რჩენა და ალექსანდრაპოლის ვაჭრობა ამ ქაშად სომხის ვაჭრების ხელშია და ისინი ძალიან კარგათ სარგებლობენ ამ დროებით, ერთი-ორად, ერთი-სამად ჰყიდიან ყველაფერს და ამის გამო აქ ყველაფერი ერთობ ძვირად ჯდებაო. არათუ ცოცხლები, მკვდრებიც იმათ ხელში არისო: უბრალო სასაფლაოს ქვის (ძეგლის) ყიდვა რომ გინდოდეთ, სომეხს უნდა მიმართო, რადგან ეს ქვები მხოლოდ იმათა აქვთ

თან ხელ-წერილით შეკრული რამდენიმე წლოებით იმ პირობით, რომ ვადის შემდგომ ამ მოსამსახურეს უნდა მიეღო ჩვილმეტი თუძანი თუ რამდენიღაც ფასი თავისი სამსახურისა. როდესაც ვადა შესრულდა, ამ გლეხმა იჩივლა, სადაც რიგ იყო და თქვენმა კლიენტმა რომ ვეღარა საბუთები ვერ იპოვა იმ ჰალალ კაცის გასამტყუნებლად, მაშინ მეტრიკული მოწმობა წარადგინა და დაიწყო მტკიცება, ვითომ მისი მეუღლე მცირეწლოვანი ყოფილიყო იმ დროს, როცა გლეხისთვის პირობის წერილი მიეცეს და ამის გამო მაგ კაცის საჩივარი არ შეიწყნარებო. მაგრამ ამ იურიდიკულ მანქმ ვერა უშველა-რა; აპელაციურმა ინსტანციამ გადუწყვიტა, რომ მოჩივარს უნდა მიეცეს კუთვნილი ფულიო და ეს გარდაწყვეტილება როგორც რიგია მიაცვანინებინეს აღსრულებადო.

მართი მითხარით, განა საკადრისია მისი ბრწყინვალეობისათვის, რომ საწყალ კაცს შრომის ფასს უჭერს და სცილილობს როგორმე წაართოს ვინ იცის რატანჯვით, რა ოფლით შეძენილი ფული? ამის მოამქმედი რას არ მოიქმედს!...

ბ). თქვენი კლიენტი სხვა-და-სხვა უკანონო ღონისძიებებთან ოჩხარისაც \*) მა-

\*) იქნება ზოგიერთმა მკითხველმა არ იცოდეს, ოჩხარი რაში მდგომარეობს და ამისთვის

და შამა-სისხლად ჰყიდიანო.

არზრუმელი კორრესპონდენტი გაზეთის „Times“-ისა იწერება 29 ნოემბერს ამ გაზეთში:

„არზრუმთან დაყენებულ რუსის კორპუსში გაჩნდა სახადი; ამის გამო ის პოლკები, რომელშიაც ეს საშინელი ავთმყოფობა გაჩნდა, იმ წამსვე მოაშორეს დანარჩენ ჯარს და აქეთ-იქით დახიზნეს სოფლებში.

„მართი ცხენოსანი პოლკი, ოთხი ბატალიონი ქვევითა ჯარი ოთხის ზარბაზნით გაგზავნეს ამ დღეებში რუსებმა ლევე-ბოინიდან ბარდოსისაკენ მტრის დასათვლიერებლად. მაგრამ ისეთი გზები დახვდათ წინ, რომ ამ ალაგამდინ ვერ მიაწია ამ ატრიალმა და იძულებული შეიქნენ უკან დაებრუნებინათ.

„ტერ-ლუკასოვის ატრიალი, რომელიც არზრუმისაკენ მიდის, ბაიაზეთსა და მესსუნს შუა არის გაჩერებული, რადგან, დიდი თოვლის გამო, ვერ წამოსულა აქეთკენ.“

შრანცუხული გაზეთის „Le Temps“-ის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება:

„ზოგიერთ დეპუტატებმა შეიტანეს აქაურ პარლამენტში წინადადება, რომ გამოძიება დაინიშნოს იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდაო, რომ რუსის ჯარმა ასე ადვილად აიღო საუკეთესო ჩვენი ციხე-ქალაქი მცირე აზიაში — შარ-

რთავს გლეხების საყველღე საშუალებათ. შარშან თუ წრეულ სწორეთ, არ ვიცი, ბერშუეთში მცხოვრებ გლეხებში მაგან გამართა ოჩხარი და ბლომათ პური შეაგროვა. თუმცა დარწმუნებული ვარ, გლეხებს ოჩხარებში სიარულის სურვილი არ ექნებოდათ, მაგრამ, რომ კიდევ არ მოსულიყვნენ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თავიანთი მებატონე კისრისკერით წაართმევდა რამდონსაც უნდა პურს და ამის გამო უნდა დამორჩილებულიყვნენ მის ნებას.

როგორ მოგწონთ ამ გვარი საქმე ბრწყინვალე თავადის მხრით!

ბ). ჩემი მეპასუხე ამბობს, რომ მესულ სიცრუეს ვსწერდე ჩემ კორრესპონდენტსაში. მოგახსენებთ, რომ იმ კორრესპონდენტსაში, როგორც ქვემოთ დაგიმტკიცებთ, არავითარი სიცრუე არ არის იმის მეტი, რომ მის კლიენტს განათლებულ კაცად ვთვლი. მს იმიტომაა სიცრუე, რომ მისი მოქმედება სრუ-

ავხსნი აქ. ოჩხარის გამართვა მდგომარეობს იმაში, რომ რომელიმე დაზარალებული პირი მოიწვევს ხალხს სადილზე, ქეიფს გააწეინებს და შემდეგ ყველა ამ ქეიფში დამსწრე პირი მოგაღება ნება-ყოფილობით აჩუქოს ოჩხარის გამკეთებელს ის სახლო, რაც აკლია, თუ პურია, პურს შესწირავს, თუ შენა, შენას შესწირავს, თუ ცხვარია ცხვარსა და სხვა.

სიო და ხომ ლალატი რამ არ ყოფილა ჩვენების მხრითაო.

„ამბობენ, რომ თვითონ კამენდანიტი შარსის ციხისა თხოულობს, რომ შარსის ალების თაობაზე დაინიშნოს გამოძიება, რადგან ამ საშუალებით იმას იმედი აქვს, რომ ყოველ ექვს აიცილებს თავიდან.“

## მოკრიგების თაობაზე

ბუშინდელს ნომერში დაბეჭდილის ოფიციალური დებეშიდამ შეიტყობდით, რომ, თითქმის პლენოს ალების შემდეგ, ბოლგარიაში არავითარ ახალი ამბავი და შეტაკება რუსებსა და ოსმალს შუა არ მომხდარა, რადგან იქითკენ საშინელი თოვლი და ყინვები დადგაო.

ამის გამო ახლა ყველა უცხო ქვეყნის გაზეთები მებრძოლთ შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე ლაპარაკობენ.

ოსმალეთმა გამოუცხადა პირველად მორიგების სურვილი; და ეს სურვილი, როგორც წასულ ნომერშიაც იყო მოყვანილი პირველად ინგლისს აცნობა. მაგრამ ინგლისის სამინისტროს, გაზეთის „Times“-ის სიტყვით, გადაუწყვეტია, რომ მარტო ბრიტანიის მმართველობა არ იკისრებს რუსეთის წინაშე შუამავლობას, ის ეცდება, რომ მეროპის სახელმწიფოებმაც განაცხადონ შუამავლო-

ლებით განათლების წინააღმდეგია. იმ კაცისათვის, რომელიც ვისაც კი დაიბრკიყვებს, შესდგება ზედ და უწყალოდ სთელავს, განა განათლებას ბრჭალი კი მიუტარებს? მე იმას თავს დაეანებებ, თუ ეს ვაჟბატონი რამდენჯერ დარეგია კეთილ გლეხებს და ერთი აღიარებითი დაუყენებია იმათთვის; მოვიყვან მაგალითად რამდენიმე გლეხის გვარს, რომლებიც ამას მიუტყუებია და ახსნი მიზეზებსაც რისთვისაც მათთვის ეს შეუარაცყოფა მიუყენებია. ამას სხვა ყმებთა შორის ს. ბერშუეთში ჰყავს ორი გლეხი: ჩაჩა ზაუტასშვილი და სოლომონ ძაპანაძე. ძაპანა, რომ გლეხმა მებატონეს კუთვნილი მეოთხედი ათ ვერსზე უნდა მიუტანოს თავისი ხარკამბე-რით. ძაპანაძემ ორი თუ სამი გზობა ოც ვერსზე კიდენ მომეტებულ სიშორეზე ჩაუტანა მეოთხედი და თავის ბაჟი გადინხადა. ბატონის მოურავმა კიდენ მოსთხოვა შეებმა ურმისა; გლეხმა უარი უთხრა, მე ჩემი ვალი ერთი-ორად გადავინადეო, ეხლა ურმები ჩემ საკუთარის მოსაზრდით მჭირიაო. როდესაც ძაპანაძეს შეილი აბამდა თავისთვის ურემს, მოურავმა გამოუშო ძალით ურმიდგან ხარი და დაუწყო ჩხუბი და ცემა; მაშა რომ მიეშველა მოურავმა ხანჯალი იძრო, მაგრამ ძაპანაძემ მალე წაართო და გაავლო მოურავი. ბატონმა რო შეიტ-

# საქართველო

საქართველოს  
დღიური

ბის სურვილი; და ამ განზრახვით ინგლისს ძალიან გულით უნდა თურმე, რომ შეებრძოლთ მოსარიგებელ პირობების შესადგენათ შეიკრიბოს კონგრესი მეროპის უმთავრეს სახელმწიფოებრს წარმომადგენლებსა.

ბერმანია ამ კონგრესის წინააღმდეგია: ამ კონგრესილამ ახა გამოვა-რაო, უთქვამს თ. ბისმარკს; რუსეთი და მსმალეთი სხვების გაურეველად მორიგდნენ ერთმანეთში და მერე შეგვატყობინონ თავის მორიგების პირობებო.

ავსტრია, წინააღმდეგით, ბოსნიასა და ჰერცოგოვინას მოვლის და ხმას არ ამოიღებს; თუმცა მენგრელები, რომელნიც 1848 წლის შემდეგ, რუსეთის მამაკვდინებელ მტრებად ითვლებიან და მსმალეთის ერთობის მომხრეებად, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერას გარიგებენ.

იტალიას გამოუცხადებია, რომ მე ისე მოვიქცევი, როგორც მეროპის დანარჩენი სახელმწიფოებო, იმათ გადაწყვეტილებას მოუტლიო.

საფრანგეთს ამ გვარი საქმეებისთვის ამ ქამად ჯერ კიდევ არა სცალიან, თუ-

მცა ამ ახლად-შემდგარ რესპუბლიკელების სამინისტროს ხელში ცოტა არ იყოს ის მოისვენებს.

ამ ნაირად დარჩებიან ისევ მარტო რუსეთი და მსმალეთი; მაგრამ ესენი ისეთს პირობებს თხოულობენ მორიგებისას, რომელზედაც ვერცერთი მოწინააღმდეგე ვერ დათანხმდება ჯერჯერობით:

რუსეთი თხოულობს მთელ სამხეთს და მსმალეთის საქართველოს, შეზღუდვით თავისუფალ მსვლელობის უფლებას, რუმინისა და სერბიის სრულებით განთავისუფლებას, ჩერნოგორისთვის მიწების დათმობას, ბოსნიის და ჰერცოგოვინის ავსტრიასთან შეერთებას და სხვ.

მსმალეთი კი ერთ ნაქერ მიწასაც არ უთმობს; ის თანახმაა მხოლოდ ზოგიერთი უფლება მიანიჭოს თავის სლავიანურ ხალხებს, რეფორმები შემოიღოს ამ ქვეყნებში.

შეველია, რომ ამ გვარ პირობებს ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ მიიღებს: ორივენი დაუთმობენ ერთმანეთს და ამ ნაირად შეიძლება მშვიდობიანობა ჩამოვარდეს. მაგრამ ამას გაზაფხულამდე არ უნდა მოველოდეთ....

\* \* \* ისე ჩვენი დღიური ვერ დავიწერია, რომ რამდენიმე სიტყვა მაინც არ ითქვას ჩვენი ქალაქის სიძვირზე, განზირებულ ქურდობაზე და სხვა ამგვარ მოვლენაზე. რას იზამთ? თუ კი ეს შეადგენს ჩვენს ყოველ-დღიურ მოვლენას, უნდა ამაზე ვილაპარაკოთ.

მშინაობის მოსაპარაკებლად არ ისმის; ეს სიცივეები ისევ ისე დგას ჩვენს ქალაქში, თუმცა დღეს, ოთხშაბათს კი აღარ თოვლს; ამის გამო სიძვირე თუ არ მატულობს, არ კლებულობს. საქენი ცული შეშა ამ ქამად ქალაქში 30—40 მანეთად ისყიდება; ყოველგვარი ხორაგეული თითქმის ერთი-ორად გახდა.

\* \* \* რაიცა შეეხება ავაზაკობას და ქურდობას, ეს ხომ ყოველთვის სიძვირეს უკან დასდევს, და ახლაც მატულობს.

ამ დღეებში, სხვათა შორის, ერთს ვილაც მებოვოსკეს მისცივინიან დღისით სამი ავაზაკები მერაზედ, ხელმწიფის

ყო, ამობძანდა, მიიწვია თავის სახლის კარ წინ და ერთი თუ ორი ურტყა; ხანჯალიც უკან გამოართო. ჩაჩა ზაუტაშვილიც კიდევ ამ გვარ საქმისთვის გალანა: სთხოვა ურემის შებმა, მან უპასუხა, ორი ხარი მყავსო, მაგრამ იმათში ერთი ჯერ არ შებმულა და ვერ მოგცემო და მეორე განვეული კი წაიყვანეო; ამას გინდა არა ორივე მისი ხარი უნდოდა შეება, არ დამორჩილა და ცემა-ტყევა დაუწყო. ძაბანადე კიდევაც აპირებდა ჩივილს, მაგრამ აქეთ-იქითგან ეცადეს და როგორღაც ჩააჩუქეს.

აბა, ბატონო ა. ამილახვარო, შეაბაღლეთ, არამც თუ ჩემი ვაჭრობა, არამედ თვით ჩარჩისაც თქვენ კლიენტის მოქმედებასთან და გაზინჯეთ, მისი მოქმედება უფრო საზიზღარია თუ არა?

მხლა გაეჩხრიკოთ ის, თუ რამოდენათ ამართლებს უფ. ა. ამილახვარი თავის კლიენტის მოქმედებას საწყალი ქვრივი დედაკაცის შესახებ, რომელზედაც წარსულ კორრესპონდენციაში ვილაპარაკე. ის ამბობს, რომ შარშან შემოდგომაზე ამ დედაკაცს მებატონემ წინააღმდეგა მესცაო, ერთი ნადლის სახნავი მიწა მამეციო და იმის მაგიერ სხვა უფრო ბევრს მოგცემო. დედაკაცი ამ წინააღმდეგაზე ჯერ არ თანხმდებოდნო და შემდეგ კი დათანხმდაო, რომ შემდეგაც მოისპო ყოველივე მათ შორის ბატონ-ყმობის დამოკიდებულებაო. სახლში დამწყვედვა, მომშვეა და ხელის-მოწერაზედ ძალ-დატანება—ეს სულ ყველა საზიზღარი სიტყუე არისო.

ღიან, ბატონო ა. ამილახვარო! მართალია, იმ მიწაში სხვა მიწას აძლევდა

თქვენი კლიენტი, მაგრამ საქმე იმაშია—როგორ მიწას ართმევდა და როგორს აძლევდა; თუ წართმეულ მიწას რანაირი მნიშვნელობა აქვს იმ დედაკაცისათვის ეს იქიდგანაც სჩანს, რომ თქვენს კლიენტს თითონ მოუწოდებია, რადგანაც კარგი ლუკმა გახლავსო, თორემ გიჟი ხომ არ იყო, რომ როგორც თქვენ ბძანებთ, ორჯელ მომეტებული მიწა მიეცა იმის ნაცვლად თვით დედაკაცის ჩივილიდგანაც, რომელიც ამბობს „რაც მამული მქონდა, სულ რომ წაერთო და ეგ კი დაეტოვებინა, არას ვინაღვლიდიო!“. ამას გარდა ის მიწაც, წართმეული მიწის ნაცვლად რომ აძლევდა, როგორც მესმის, თქვენს კლიენტს კი არ ეკუთვნის, არამედ სადავიდარაბო გახლავსო. თქვენ ბძანებთ, დედაკაცი დათანხმდაო; საკვირველია, თუ დათანხმდა, რაღათ ჩივოდა?

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ამბობთ დედაკაცის დამწყვედვა და ხელის-მოწერაზე ძალდატანება სიტყუე არისო, ეს დედაკაცი, მარტო მე კი არა, გამვლელს და გამომვლელს ეუბნება ამ შემთხვევას და სხვანიც ბევრნი ემოწმებიან ამას.

ისიც ტყვილია, უ. ამილახვარო, რომ თქვენმა კლიენტმა ძასპში მცხოვრებმა გლენს ზზირისშვილს მამული შეაყიდინა 2,100 მანეთად, ფული მიიღო და ჯერაც არ დაუშტკიცებია? ისიც ტყვილია, რომ, როდესაც ამას წინეთ ვენახებს იყოფდნენ, ამ ზზირისშვილმა პოსრედნიკს სთხოვა, თქვენ კლიენტთან შუამავლობა და ამ უკანასკნელმა უპასუხა, ერთს მაგდენს კიდევ დახარჯამო,

მინამ დაიმტკიცებო? ისიც ტყვილია, რომ ერთ თქვენი კლიენტის გლენისაგან უფალომა ანდრია იმნადემ სასახლე მიწა იყიდა, იმ პირობით, რომ ნასყიდობის ქალაღზედ მებატონემაც ხელი უნდა მოაწეროს და თუ გლენი ამ პირობას არ შეასრულებს, რამოდენილაც ჯარიმა უნდა გადახადოს და თქვენი კლიენტი არ უწერს ხელს ვიდრემდის ის, მის (თქვენ კლიენტის) მამულთან ახლო მდებარე მამულს არ დაუთმობს მას?

რამდენი სხვა უკანონო მოქმედებები ჩაუდენია თქვენს კლიენტს, მაგრამ ვისა აქვს თავი ჩამოთვალოს და მგონი ესეც კმაროდეს, რაც ვსთქვი.

დასასრულ იმასაც გეტყვი, რომ მე არც ვეჭილი ვარ, არც არავის საჩივრებს უწერ, არც არავის არასა ვსტყუებ და არც არავის საჩივრების გზებს ვასწავლი. ეს გულის ასამღვრევი ფაქტები ჩემს ლეხურის ხეობაში მყოფობის დროს შემთხვევით შევიტყე თვითონ იმ პირებისგან, ვინცდაც აქ ვლაპარაკობ და მოვალედ შევრაცხე ჩემი თავი გარდამეცა საზოგადოების განსჯაზედ. თქვენ ბძანებთ თქვენის წერილის დასასრულ: თუ ყველა ის, რასაც მე ვწერ ჩემს კორრესპონდენციაში, მართალი იყოს, უეჭველია, მე დაჩაგრულებს მფარველად გამოჩინდებოდი და თქვენი კლიენტის მოქმედებას სამსჯავროს დავსჯევინებდი; მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის; ჩემი მოვალეობა იყო გამომეაშკარებინა და ეგებ როგორმე თქვენი კლიენტი და ბევრი მისთანა სვინიდიისზე მომეყვანა საკულაოთ.

სტეფანე მელიქიშვილი



ჯვართან, გამოუხსნიათ ცხენი, დაუკრავთ ფეხი და წასულან.

ამას კარდა ამ რამდონიმე დღის წინათ ბორჯღის განზრახვით შეცვივრულა ორი თუ სამი ავაზაკი ერთ ვილატ ქვრივის სახლში მთაწმინდაზე, მაგრამ ქვრივის ყვირილი დაუწყვია და შემინებული ავაზაკები ისევ უკან გაბრუნებულან.

და რამდენი სხვა ამისთანა შემთხვევა ხდება ამ ქადა, რომელსაც ჩვენ ყურამდინ არ მოუწყვია!...

\* \* \* „თფილისის მოამბე“ გეცნობებს, რომ ქუთაისში აპირებენ სამღვდლოებისათვის ქართულს ენაზე ჟურნალის გამოცემასაო. ჩვენ არაფერი არ შეგვიტყვია ამ ამბავზე: არც ის—თუ ვინ აპირებს ამ ჟურნალის გამოცემას, ან როდის, ან რა საშუალებით და სხვ.

ეს ჰაზრი ახალი არ არის: ამ ხუთიექვსი წლის წინათ ქალაქში აპირებდნენ ამ გვარი ჟურნალის გამოცემას; მაგრამ, რალატი მიზეზების გამო, მაშინ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოვიდა. მისურვოთ, რომ ამ სასარგებლო საქმეს ახლა მაინც კეთილი ბოლო, ან—უკეთ, კეთილი დასაწყისი მისცემოდეს.

\* \* \* ჩვენ შევიტყეთ, რომ „ქრებულში“ დაბეჭდილი თ. ბ. მრისთვის კომედია „დავა“ ახლა ცალკე წიგნად გამოუყიათ და მალე გასასყიდლიად გამოვაო.

**კავკასიის საგზაო ინსტიტუტი**

შომბირე ქალები მიიღებინ უფედლოვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებინ.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალები და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისათვის:

უფელ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდან 11-დინ—დოქტორი მ. ნანოვი.

მთხზაბათობითა და შაბათობით 12 საათიდან 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დან 12-მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისათვის: ხუთშაბათობით 11 საათიდან 12-მდინ დ-კვირათობით 10-დან 11-მდი—დოქტორი შ. შააკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, ალბანუსის და მ. ნანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას პრჩენენ, ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში—1 მან.

**თფილისის სამკურნალო**

(4-ს აპრილის სახსოვრად)

მრეგნის მადანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ უფელ დღე, კვირას გარდა, დღის 8 საათიდან დღის 10 საათამდე.

მ. რ. შაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: მერმიშვიე და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, მამამშვიე—თვალის ექიმი.

მ. თ. შაბათს: ლისიცივი—შინაგანი ავათმყოფ., ძიუნარიანიცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: მერმიშვიე—შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცივი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკიევიჩი—ხირურგიულისათვის.

შაბათს: მერმიშვიე და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., ძიუნარიანიცი—ყურის და ხირურ-

გიულ ავათმყოფობისათვის და მამამშვიე—თვალის ავათმყოფობისა.

**განცხადებანი გაკვეთილები**

ზრანცუზულის მინსა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. ბრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენაზედ. მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში, უფ. ზაქარია ძანდელაკის სადგომში.

იხეცდება და ამ მოკლე ხანში გამოვა „**სოლი ვიტირო თუ ფული?**“ მ. თხ-მოკმედებიანი კომედია უფ. ალ. ა. თუთაშვილისა

**ჩაის მაღაზია ვ. ვ. კოკოვიძისა,**

რომელიც იმყოფებოდა ბალაენის პროსპექტზე, შიოგვის სახლებში, ამ ქადად გადატანილია მკაპნის მაქდანაზი, ტარასატუროვის სახლში. პატივი მაქვს გეცნობო პატიეცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი წებაგს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდის ვაჭარი რაქაძე ბაღინიძე

**მიცემა სასესხებელი ფული**

იმ პირობით რომ მოვალემ მუდაამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრალებული პირობების შეტყობა ბულოკოვსკისთან, მორონტოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, მარზაგის ფეხსაცმლის მაღაზიაში, მუდამ დღე დღის 9 საათიდან ნაშუადღეის პირველ საათამდინ.

რ.ბ.ზ.ა.	დღილა.	სალაშ.	II კ.	III კ.
თფილისი	9 21	5 18		
მცხეთა	10 11	6 27	68	38
ბორჯი	11 58	9 43	2 40	1 23
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18
სურამი	1 44		4 42	2 46
ქვირილა	5 49		5 81	3 23
რიონი	6 47		6 75	3 75
სამტრედია	7 41		7 73	4 29
ახალციხე			8 57	4 76
შოთი	9 40		9 75	5 42
ფოთი	9 13			
ახალციხე			1 18	66
სამტრედია	11 16		2 6	1 14
რიონი	12 13		3 4	1 69
ქვირილა	1 18	ღამე	3 98	2 21
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24
ბორჯი	7 5	4 8	7 36	4 9
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42

ტელეგრაფი	მ. კაპ
მ. ცი სიტევა თფილისიდან:	
ქუთაისს, შოთს	1
ბორჯი, დუშეთს, სინდალს	50
როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2
პეტერბურგს, მარზაგს	2
მსმალეფში, შვეიცარიაში	3
იტალიაში და საფრანგეთში	3 50
ინგლისში	3 75
<b>ფოტა</b>	
ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—უფელ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძაქეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—უფელ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს—ორშ. და პარასკ. მ. წიგნის გაგზავნარუსეთში კაპ. და სამზღვარ გარეთ: მ. წიგნის . . . . . 4 დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . . . . 8	

ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
პეტერბურგი, 10 ქრისტეშ.		თფილისი, 14 ქრისტეშე:	
მართი ანეთი ლირს:		შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	220
ლონდონში 24 პენსი.	78	შქვილი წითელი . . .	160
პარიში 255 სანტიმი.	62	მერი ფუთი . . . . .	150
მსკონტი (სარგებლისფასი)	71	ბანბა მრეგნისა, ფუთი .	9
ბანკის ბილეთი 5%	96	— ამერიკისა, ფუთი . .	12
მოგებიანი (პირველისა) . .	234	ბაპენტილი ბანბა ფუთი.	14
მოვიბინ. (მეორე ხესხი)	228	მატელი თუშური ფთ.	7
ბირაოს ფურცლები:		— მარაქამისა ფთ. . . .	5 50
მფილ. საზნ. ბანკისა.	85	პბრეშუმი ნუბურნ ფუთ	145
ხესონის ბანკის (5%) . . .	85	ძომი, ფუთი . . . . .	6 50
მოსკოვის (5%) . . . . .	85	ძონის სამთელი ფუთი.	8
აკციები:		სტეარინის სათელი, ფ.	15 60
მდესის საეპრო ბანკის	177	ხორცი ძროხისა, ლიტ.	72
შოთი-თფილ. რკინ. გზის		— ცხვრისა, ლიტრა . .	72
შავი ზღვის ცეცხ. გემოვს	527	სპირტი, გრადუსი . . .	12
ძაქაზის და მერკურის . . .	225	შაქარი, ბროც. ფუთი .	9 20
პირგ. საზღვევ. საზოგ.	745	— ფეხვილი ფუთი . . .	8 50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	შავა გრვალი, ფუთი . .	28
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	ხუთი ქუნჯუთისა ფუთ.	13
		მქრო 1/2 იმპროალი . . .	8 5